

## მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

კომპანია გარდაბნის თბოსადგური 2–ის  
230 მეგავატი კომბინირებული ციკლის  
თბოელექტროსადგურის (CCTPP)  
მშენებლობისა და ოპერირების გარემოზე ზემოქმედების  
შეფასების ანგარიშის თაობაზე

10 მარტი, 2017

ქვემოთ წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებსა და კომენტარებს  
230 მეგავატი კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის (CCTPP)  
პროექტის საჯარო განხილვისათვის 2017 წლის 13 იანვარს გამოქვეყნებული  
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის<sup>1</sup> თაობაზე:

გზმ ანგარიშის 2.2 ქვეთავში მოცემულია, რომ პროექტი უნდა განხორციელდეს  
მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების  
შესაბამისად. აქვე ნათქვამია, რომ ბსგზმ-ის ანგარიში მომზადებულია  
მსოფლიო ბანკის IFC-ის სამოქმედო სტანდარტების მიხედვით.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, დოკუმენტი დასათაურებული უნდა  
იყოს როგორც ბსგზმ ანგარიში და არა გზმ ანგარიში. აგრეთვე, უნდა  
მოიცავდეს, როგორც გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს,  
ასევე სოციალურ საკითხებსაც. ეს უკანასკნელი კი დოკუმენტში სუსტადაა  
წარმოდგენილი.

ამასთან, წარმოდგენილი გზმ ანგარიში, რიგ შემთხვევებში არ პასუხობს, IFC  
სტანდარტების მიხედვით დადგენილ ნორმებს. აღნიშნული საკითხი კი  
პუნქტობრივად ქვემოთ არის განხილული.

1. ემისიებთან დაკავშირებული საკითხი ანგარიშში მოცემულია 6.7 ქვეთავში,  
სადაც განხილულია დაგეგმილი თბოელექტროსადგურიდან გაფრქვეული  
ემისიების რაოდენობა და დასკვნების სახით მოცემულია, რომ ატმოსფერული  
ჰაერის ხარისხი როგორც 500 მეტრიანი, ასევე უახლოესი დასახლებული  
ზონის მიმართ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ  
ნორმებს. ასევე გზმ ანგარიშში წარმოდგენილ ცხრილებში, მოცემულია მავნე  
ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები უახლოეს  
დასახლებულ პუნქტთან.

<sup>1</sup> <http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/cvileba/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%94%01-13-gardabnis-municipalitetshi-kompania>

გამომდინარე იქედან, რომ ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში უახლოეს დასახლებულ არეალთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაციას ვხვდებით, მოცემული დასკვნები ეჭვქვეშ დგება. ასე მაგალითად, გზმ დოკუმენტის 3.4.2 ქვეთავში უახლოეს დასახლებულ სოფლებში მოხსენიებულია, სოფ. ახალშენი, იგივე მეორდება ანგარიშის სხვა ნაწილშიც და ნახ. 6.8.3; ნახ. 6.8.4 და ა. შ .. სრულიად საპირისპირო ინფორმაციას ვხვდებით დოკუმენტის 6.7.2 ქვეთავში, სადაც ყველაზე ახლოს მდებარე სოფლად სოფელი კაპანახჩია დასახელებული. აღნიშნულიდან, ნათელი ხდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი არეალის და მასზე ემისიების ზეგავლენის საკითხიც დაზუსტებას საჭიროებს.

ამასთან, პროექტის ემისიებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება, ასევე, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი გარემოება: 2013 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მიმართა ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობას (European Energy Community, EEC) სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მოსაპოვებლად. სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მისაღებად, საქართველომ უნდა შეასრულოს თანამეგობრობის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, მათ შორის, ევროკავშირის 2001/80/EC დირექტივა - Directive 2001/80/EC on the limitation of emissions of certain pollutants into the air from large combustion plants (the LCP Directive). ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ თბოელექტროსადგურის პროექტის დაგეგმვისას, თავიდანვე იყოს აღებული ორიენტაცია აღნიშნული დირექტივის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

2. ანგარიშში საერთოდ არ არის წარმოდგენილი პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება. სუსტადაა განხილული პროექტის საჭიროება; თუ რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს აღნიშნული თბოელექტროსადგურის ფუნქციონირება რეგიონს და ზოგადად, ქვეყანას. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოებამ და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უკეთ შეაფასონ პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

3. გზმ დოკუმენტში მეტად ზედაპირულადაა განხილული, თუ რა ზეგავლენა ექნება პროექტს ახლომდებარე დასახლებულ არეალებზე (გამომდინარე იქედან, რომ ახლომდებარე არეალიდან დაშორების საკითხი გაურკვეველად არის წარმოდგენილი); არ არის შეფასებული ზეგავლენის მნიშვნელობა, მასშტაბები და შესაბამისად არ არის დადგენილი შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მნიშვნელოვანია, რომ უკეთ იქნეს შეფასებული ზეგავლენა გარემოსა და მიმდებარე დასახლებულ ტერიტორიაზე, დადგენილ იქნეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებები.

4. რაც შეეხება გზმ ანგარიშში განხილულ პროექტის ალტერნატიულ ვარიანტებს, ვხვდებით დოკუმენტის მე-4 ქვეთავში. სადაც მოცემულია: არაქმედების, სისტემის, გაზის მიწოდების, კონსტრუქციის და ადგილმდებარეობის ალტერნატივები.

მეტად არასრულყოფილად და მკითხველისათვის არადამაჯერებლადაა წარმოდგენილი არაქმედების ალტერნატივა.

ყურადსაღებია, რომ დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული ელექტროენერჯის გამომუშავების სხვა გზები (მზის, ქარის, ჰიდროელექტროსადგურების და ა.შ.), ანუ პროექტის მიზნის ალტერნატიული გზებით მიღწევის საშუალებები, რაც წარმოდგენილი დოკუმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს (გასათვალისწინებელია, რომ დღეისათვის დაგეგმილია დიდი, მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობა საქართველოში, ამასთან რამოდენიმეს მშენებლობა უკვე დაწყებულია; დაგეგმილია ასევე დამატებით ქარის ელექტროსადგურის მშენებლობაც).

5. გზმ ანგარიშის 6.9 ქვეთავში განხილულია ხმაურის ზეგავლენა და ნათქვამია, რომ „გარდაბნის თბოელექტროსადგური 2 (230 MWe) CCTPP –ს ირგვლივ არსებული ხმაურისადმი სენსიტიური რეცეპტორები არ არის ბევრი; 1250 მეტრის დაცილებით განლაგებული სოფელ კაპანახჩის მოსახლეობაზე ახლო რეცეპტორები ობიექტთან არ არის. ეს მანძილი კი თავისუფლად უზრუნველყოფს ხმაურის გაბნევას და მისი დონეების შემცირებას ობიექტამდე. გარდაბნის თბოელექტროსადგური 2 სადგურის ანალოგიური ობიექტებიდან მიღებული გამოცდილების თანახმად შეიძლება ითქვას, რომ ხმაური არ იგრძნობა 750 მეტრზე მეტ მანძილზე“. – ყურადსაღებია, რომ სოფ. კაპანახჩა, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს დაგეგმილ თბოელექტროსადგურთან, უკვე განიცდის, არსებული თბოელექტროსადგურებიდან ხმაურის ზეგავლენას. 2016 წლის დეკემბერში მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლები იმყოფებოდნენ გარდაბანში, უკვე არსებული თბოელექტროსადგურების ირგვლივ განთავსებულ სოფლებში და შეხვდნენ მოსახლეობას. სოფლის მაცხოვრებლების, მათ შორის სოფ. კაპანახჩას სოფლის მაცხოვრებლების დიდი ნაწილი ძალიან წუხს, უკვე არსებული თბოელექტროსადგურებიდან გამოწვეული ხმაურის გამო, განსაკუთრებით კი საღამოს პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სათანადოდ იქნას განხილული ხმაურის გავლენა მიმდებარე არეალებზე და აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში დეტალურად იქნას შეფასებულ კუმულაციური ზემოქმედება.

6. საერთოდ გაუგებარია, რას ემსახურება ანგარიშის 10.2 ქვეთავში წარმოდგენილი რეკომენდაციები. გაუგებარია, ვინ არის წარმოდგენილი რეკომენდაციების ადრესატი, მაშინ როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი უნდა იღებდეს ვალდებულებებს და არა, გასცემდეს რეკომენდაციებს.

7. რეგიონში და მიმდებარე არეალებზე უკვე მდებარეობს სხვა თბოელექტროსადგურები, ამდენად, გზმ ანგარიშში აუცილებლად უნდა იყოს განხილული და შეფასებული კუმულაციური ზემოქმედება და სხვა თანმდევი საკითხები (შემარბილებელი ღონისძიებები და ა.შ.).

8. რაც შეეხება პროექტის ფინანსური ეფექტურობას, გზმ ანგარიში საერთოდ გვერდს უვლის აღნიშნულ საკითხს. დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი პროექტის სრული ღირებულება. არ არის დათვლილი მიღებული ელექტროენერჯის თვითღირებულება და უკუგების მაჩვენებელი; არ არის განხილული, როგორ იმოქმედებს პროექტის განხორციელება საერთო ელექტროენერჯის ტარიფზე; გამოიწვევს, თუ არა მისი ღირებულება ტარიფის ზრდას ან პირიქით კლებას; რა ზემოქმედება ექნება მოსახლეობის ელექტროენერჯისადმი ხელმისაწვდომობისა და ენერჯო-სიღარიბის მაჩვენებლებზე.

9. დოკუმენტში მოცემული ცხრილები და ნახაზები ინგლისურ ენაზე არის წარმოდგენილი. მაგალითად: ნახ. 3.3.6, ნახ. 3.3.7, ნახ. 3.3.10 და ა.შ. აღნიშნული ასევე მეორდება დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებში, რაც დაინტერესებული საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის, საკითხის გაცნობის კუთხით დიდ ბარიერს ქმნის და გაუგებარია.

10. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას. დოკუმენტში მითითებულია მხოლოდ მყარი ნარჩენების განთავსების ადგილები. სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ: „შესაფუთი სახიფათო ნარჩენები მიეწოდება ისეთ კონტრაქტორ კომპანიებს, რომლებსაც აღნიშნულ ნივთიერებებთან მუშაობის შესაბამისი ლიცენზია გააჩნიათ. აღნიშნული ნარჩენების ტრანსპორტირება სპეციალურ ლიცენზირებულ სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით განხორციელდება“. ვინ არის პასუხისმგებელი პირი? სად და როგორ მოხდება ამ სახის ნარჩენების საბოლოო განთავსება? – გაუგებარია.

ასევე არ არის მოცემული თუ სად მოხდება შლამების განთავსება. ანგარიშში ნათქვამია: „ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის შლამები განთავსდება არსებული პრაქტიკის შესაბამისად ლიცენზირებული კონტრაქტორის მიერ, რომელსაც აქვს საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებიდან გამოყოფილი შლამების ტრანსპორტირების გადამუშავებისა და განთავსების საშუალება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მშენებლობის დროს შესაძლებელი იქნება საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება კონტრაქტის საფუძველზე Tbilisi Water and Power-ის ჩამდინარე წყლების კოლექტორში, შესაბამისად ჩამდინარე წყლების გაწმენდისა და შლამების მენეჯმენტის სისტემის აწყობა აღარ იქნება საჭირო“. შესაბამისად არაა დაზუსტებული და საბოლოოდ გადაწყვეტილი სად მოხდება შლამის საბოლოოდ გატანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ გადაიხედოს საწარმოო ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილები, პირობები და გამოვლინდეს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო მისაღები ვარიანტები. საჭიროა ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და დეტალური გაწერა.

11. ჯანმრთელობა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხი სულ რამოდენიმე წინადადებით მეტად ზერელედ არის განხილული და არ იძლევა დასკვნის გამოტანის საშუალებას. ანგარიშში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად რისკებად დასახელებულია სატრანსპორტო ნაკადების ზრდა და იგნორირებულია ზეგავლენის ისეთი მნიშვნელოვანი სახე როგორც არის ატმოსფერული ემისიები. გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული არეალი (რაც ასევე არ არის გარკვევით წარმოდგენილი ანგარიშში) სოფელი ქვემო კაპანახჩი – 1250 მეტრითაა დაშორებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობაზე მუდმივი ზემოქმედება, გარდაუვალი იქნება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ IFC სტანდარტების მიხედვით, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხი უნდა მოიცავდეს ისეთი ზეგავლენის სახეებს, როგორც არის: ხმაურის, მტვრის, ქიმიური ნივთიერებების, რადიაციის (და ა. შ) ზემოქმედება და ამასთან, თანმდევ შემარბილებელ ღონისძიებებსაც.

12. გზმ ანგარიშში არ არის განხილული დაცული ტერიტორიიდან დაცილებს საკითხი და შესაბამისად არ არის შესწავლილი მასზე ზემოქმედებაც. როგორც, 2017 წლის 7 მარტის საჯარო განხილვაზე გაირკვა, გარდაბანის ალკვეთილი დაგეგმილი თბოელექტროსადგურიდან დაცილებულია დაახლოებით 100 მეტრით. გამომდინარე აქედან, აუცილებელია დეტალურად იქნას განხილული აღნიშნული საკითხი და შემუშავებული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

13. ასევე არასწორად არის მოცემული დაცილება ქალაქი გარდაბანიდან. დოკუმენტში ნათქვამია, რომ დაშორება დაახლოებით 3,5 კილომეტრია, თუმცა მანძილი დაგეგმილ თბოელექტროსადგურსა და ქ. გარდაბანს შორის გაცილებით ნაკლებია.

14. ანგარიშის 6.11.2 ქვეთავში მოცემულია დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ნათქვამია, რომ „მსგავსი პროექტების გამოცდილებაზე დაყრდნობით, დასაქმებულთა საერთო რაოდენობა, პროექტის სხვადასხვა საფეხურზე, დაახლოებით 150-400 კაცამდე იქნება. ასევე, სავარაუდოა, რომ მუშახელის 10 % (15-40 კაცი) მაღალკვალიფიციური იქნება. ... ადგილობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ სოფელი ახალშენის მოსახლეობის უმეტესობა ვარუდობს, რომ კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა იქონიებს დადებით გავლენას და გაზრდის დასაქმების შესაძლებლობას. კაცები დასაქმდებიან როგორც მუშაკები, კალატოზები, ელექტრიკოსები, ფილების დამგებები, სანტექნიკოსები, შემდუღებლები. ხოლო ქალები დასაქმდებიან მომსახურეობის სფეროში; თუმცა, არსებობს მცირე შესაძლებლობა, საოფისე სამუშაოს არსებობის. სავარაუდოდ, დასაქმებაზე

*ზეგავლენა პოზიტიური და რეგიონალურ დონეზე შესამჩნევი იქნება.* -- გზშ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ, არ არის ნათელი პროექტის განმახორციელებელი იღებს თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულებას და რამდენი იქნება ადგილობრივ დასაქმებულთა წილი.

**ამგვარად, საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი გზშ ანგარიში საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას და ამისათვის დამატებითი კვლევების ჩატარებას.**